



8 აგვისტო, 1910 წ.

მამლაყინწობა მამლაყინწობამ—თავის
თუ შეთანხმებამ?!

„მე-ს“ განდიდებამა და ხვის არაფრად ჩადებამ—ნაყოფი გამოიღო: ყველანი ცალცალკე ვითომც რაღაცანი ვართ, დღითა საქმეთა გაცეთების მსურველნი... კარგი სურვილი მოსაწონია, მაგრამ სურვილის განუხორციელებლობა-კი ვერაფერი საქებურია...

ისე არაფერშია დასავგმობი მამლაყინწობა, როგორც სათვატრო საქმეში, ხელოვნების სა-მეფოში, საცა ყოველივე და ყველა—ღიღი და მცირე, მაღალი და დაბალი—მხოლოდ შეთანხმებით და თანშეზომილად უნდა საქმობდეს...

ქართულ თეატრს ერთი კარგი ხანა ჰქონდა, ხანა სიკვდილით აღდგომისა—80-იან წლები, — როდესაც ყველა, ვინც თეატრის გარეშემო დატრიალდა, სულით და გულით მიეცა საქმეს და თავის გარჯას გირანქა-არშინობლივ კი არ აფასებდა—ამდენი და ასეთი საქმე გაეაყეთო, თან გადაეყვეო... არა! იგინი გრძნობდნენ, რომ ღიღიებული საქმე უნდა აღედგინათ და აღადგინეს კიდევ.

სწორედ ასეთსავე თავგამოდებასა და დაუზოგადობას ითხოვს ყოველი ჩვენი საზოგადო საქმე და განსაკუთრებით ქართული სცენის დღევანდელი მდგომარეობა ყველასაგან, ვინც უნდა იყოს: მსახიობი, გამგებობის წევრი, თუ სხვა.

ახლო მომავალი გვიჩვენებს, რადენად შეგნებით, მტკიცედ და შეთანხმებით მოპყრობიან სცენას ჩვენი მოთეატრენი...

ქართულ თეატრის მოღვაწეთა მიმართ

როგორც უკვე აღნიშნული გვქონდა, ამ წელს შესრულდა 30 წ., რაც ქართ. დრამ. საზოგადოების წესდებას დამტკიცდა და ქართული საზოგადოებრივი სცენის არსებობს. დრამ. საზოგ. გამგებმა შესაფერისი ზრდადამით აზიარეს დღესასწაულის გარდახდას. დღესასწაულის გარდახდამის საჭიროდ მიგანხიან ქვემოთ ჩამოთვლილი მასალის შიგნით

და ამიტომ უმორჩილესის თხოვნით მივმართავთ თეატრის მოღვაწეთ, საზოგადო დაწესებულებათ, მწერალთ, სოფლის ინტელიგენციას და ყოველ შეგნებულად ადამიანს, —ვისაც რით შეეძლოს—დაგვეხმაროს.

საკიროა მოგვაწოდონ:

1, პორტრეტები ქართულ სცენის მოღვაწეთა, რომელთაც რამე მონაწილეობა მიუღიათ ქართ. თეატრის დაარსებიდან დღემდე, შიგნით აბოგრაფიული ცნაბებით.

2, სურათები რომელიმე სცენის, ზეისის, დეკორაციის, აგრედე გრუზები და სხ.

3, აფიშები, პროგრამები, ძველი ხელნაწერი ანუ ნახატი ზეისები.

4, მოგონებანი მსახიობთა ცნობებიდან.

5, ცნობები — რომელს სოფელში როდის დაიწეს წარმოდგენები, ვინ თათნობდა, ვინ მონაწილეობდა, რა მისხით იმართებდა წარმოდგენები, რადენი ხალხი ესწრობოდა, რა თვალთ შეურბებლეს წარმოდგენებს და სხე.

6, თეატრი სულ როგორას მოწეობილი, რადენს ატანს იტეკს?

7, დრამატურგებმა გვაცნობონ, ვის რა ზეისა დაუწერია, რა უთარგმნია; უთამაშნათ თუ არა მისი ზეისა, ან დაიბეჭდა თუ არა (ჟურნალში, გაზეთში ან ცალკე)? თუ არ ითამაშეს, რა მიზეზით? ჰქონდარი მიუღია თუ არა და ან რადენი? ზეის მისი ხომ არ უთარგმნათ სხვა ენაზე და სხ.

შენიშნა. თუ რომელიმე მოღვაწე სცენისა, როცხალი ადარ არის, მის შემკვიდრეთ, ან ახლო მცნობთ მოგვაწოდონ ცნაბები.

მსურველთ სურათება და სხვა გამოცხანალი მასალა უკახე გავცხანებთ.

აღრესი: თბილისი. ქართ. დრამ. საზოგადოების გამგებანს, ქართულ თეატრში.

ქართ. დრამატ. საზ. გამგებობის მონდობილებით საქმისმწარმოებელი იოსებ იმედაშვილი

P. S. ვსთხოვთ სხვა გაზეთებსაც — ეს წერილი გადაიბეჭდონ.



ს ი ყ ვ ა რ უ ლ ი

ზოგები ერთ ნაირად
 აგვიწერენ სიყვარულსა:
 მისს სადგურად და აღვილად
 გვიხატავენ მხოლოდ გულსა,

მაშინ როცა სიყვარული
 სამია და სამეგარია

და მათ შუა მეტად დიდი
 განსხვავება... სასდღარი!

ზირველია გულის ფსანვა:
 ცეცხლ-მოღებით უყვარს სულსა,
 მაგრამ ხშირად გამოახენს,
 საიდუმლოდ დაფარულსა!

ამ ნაირი სიყვარული
 იფეთქებს და ძლეუ ქრება
 და იძისვე თან განჭვვება
 მომხიბლავი ნეტარება!

მეორეა, როცა მხოლოდ
 გულს არ უყვარს, უყვარს თავსა!.

არ დაემებს გარეგნობას
 და მშვენიერ სანახავსა!!.

შორით უყვარს... წარმოდგენით
 და თუ იცნო სორციელად,
 მაშინ თავიც დაივიწყებს...
 სიყვარული ჰქრება ხელად.

მესამე კი სულ ზვა არის!
 მხოლოდ იგრძნობს მას რჩეული,
 თანასწორად როცა შესტრფის,
 როგორც თავი, ისე გული.

და ამ გვარად შენ მიყვარხარ
 თავითაც და გულითაც!
 ეგულა შენთვის შემიწირავს:
 დაბლა მიწა და ძლელა ცა!

მაგრამ შენ კი არ უჯერო
 არც ამ თავს და არც ამ გულსა!
 და ჩავიტან სამარეში
 მეც შორეულ—სიყვარულსა.

აკაკი

მ ე მ კ ე ი დ რ ე მ ბ ი ს დ რ ა მ ა

(ტრ. რამიშვილი—«საბედისწერო დამზაია»)

მემკვიდრეობა სსსწაუღია. ასე ამბობენ არა ჩვენი თანა უფიცი და ცოდვილი ადამიანები, არამედ თვით მემკვიდრეობა. ერთი მათგანი, რომელსაც ჩვენს დროში უკვლავ მეტა ღვწლი მიუძღვის მემკვიდრეობის ნაბეჭდების შესწავლაში, ამბობს, ამ მემკვიდრეობა მესხიერების ერთ-ერთი სახეაო. რა თქმა უნდა, შეიძლება ვთქვათ თვით მემკვიდრეობის ახსნა მესხიერების საშუალებათ, შეიძლება სუველურიც განვხილავთ, რადგან მესხიერება ფიზიოლოგიურად და ფიზიკურად მემკვიდრეობაზე ნათელი ცნება არ არის. მაგრამ ჩვენი გათვლა მხოლოდ ხელახლა დადასტურებს იმ აზრის სიმართლეს, რომ მემკვიდრეობა სიტყვით სსსწაუღია. მემკვიდრეობის სსსწაუღად ცნება სრულიად არა გულისხმობს იმ ფაქტების უარყოფას, რომელთა გაგონის მემკვიდრეობა ეწოდება. გაგონის არსებობა ეკვს გარეშე. სსსწაუღა

და საიდუმლოება იწყება იქ, სადაც ამ გაგონის შეტნებას ვკიდებთ ხელს. მხოლოდ მაშინ, როცა დადამიანს გათვლა იწყებს დაუცხრომელ ძეგლს ამ გაგონის გასკვად, რომელსაც მემკვიდრეობითი გაგონი ჰქვია, ირვევა, რომ ეს გაგონი ჩვენი თვის გაუგებარია ე. ი. სსსწაუღებოვო.

თუ მემკვიდრეობა სსსწაუღია ბუნების მემკვიდრეობისათვის, რა საკვირველია, სსსწაუღია იფოს იმ სიტყვით მთავრებათა სიფერობა, რომელსაც ეკუთვნის ზნება, ბედნიერება, ზნობისი და სხვა. აქ, ამ სიფერობაში, მემკვიდრეობას, როგორც სსსწაუღებოვო მამქმედ ძალას, თამამად შეიძლება მიეწეროს სიტყვით სამართლიანობის ფუნქციონა. აზრის ამ გვარ შეტრიალებას წინ არაფერი არ უღვა, ზირიქით, იგი ხელსაუღლია, რადგან ზნებობრივ სინათლის შუქით ანათებს ისეთ ფაქტებს, რომლებიც უამისოდ სრულიად გაუგებარი იქნებოდენ.

ადამიანის განება ისეთი გულისხმობით არც ერთს სჯანს არ ეკიდება, როგორც ბუნებრივებს. ბუნებრივებსა და უბედურებს ჩვეულებრივი განება უფრო ხშირად აფასებს, ვიდრე ავადმჯობესებს. ამიტომ, ბუნებრივებს და უბედურებს, ყოვლის უწყინარეს, ხეობებრივი მსჯელობის სჯანს წარმოადგენენ. ხშირად ბუნებრივებს და უბედურებს შესაძლებელია დაუკავშიროთ ადამიანის ზიარდ ცხოვრებას და განვიხილოთ, როგორც აუცილებელი ნაყოფი იმის ქცევა-ყოფის, ანუ როგორც ხეობებრივი ჯილდო იმის მოქმედების. მაგრამ ზოგჯერ ხეობის ვერც ერთი ცნობიერი ვერ იშვავს ვერაფრით კავშირს ადამიანის ბედის და ქცევა-ყოფის შუა. აი, სწორად აქ ეხსნება გზა შემკვადრეობას გაუგებარ ფაქტების ნათელსყოფილად. შემკვადრეობა, როგორც კავშირი თანობის თანხისთან, მოათხოვს ბუნებრივებს და უბედურებს განხილვებულს არა როგორც ინდივიდუალურ ხეობის საკუთარი თვისება, არამედ როგორც სოციალურ ხეობის ფაქტი. ადამიანი ხასხის აკებს არა მარტო თავის საკუთარ ქცევა-ყოფისთვის, არამედ აკრძალვს წინაშითა მკვირადაც; ბუნებრივებს და უბედურებს შეიძლება წარმოსდგებოდეს არა ზიარდ დირსების და უდირსობისგან, არამედ აკრძალვს წინაშითა თვისებათაგან. შემკვადრეობას, ამ გვარად, შეაქვს სოციალური მომენტები ბუნებრივების დაფასებაში და უკავშირებს მას საზოგადოებრივ განვითარების პროცესს.

რავდღაც მართალია ის აზრი, რომ შემკვადრეობა სოციალურ სამართლიანობის ფუნქციებს ასრულებს და განვითარებას ემსახურებს, ამის გამოგვლევას ჩვენს სჯანს არ შეუძლებს. ჩვენთვის საკმარისია აღვნიშნოთ, რომ თანამედროვე თვითშეკნებას სწორად ასე უნდა ეხსნება, ხოლო აქედან კი დრამატული მდგომარეობის ერთ-ერთი უძლიერესი ხლართი წარმოსდგება. წინაშითა ქცევა-ყოფა, რომლის დირსებისა და უდირსობისთვისაც შთამომავლობის ბუნებრივებს და უბედურებს მიეწვევება, ინდივიდუალურ მოქმედების გადაღმა იყოფილია. თუ წინაშითა სტრატეგიულად და თავაშეხილვად სტრატეგიისთვის ადამიანს უბედურებს რამ უნდა ექცეოს, ერთის მხრე შეუძლებელია ამ უბედურების თავიდან აცილება, მეორეს მხრე — იგი დაუმსახურებელია და შესაძლებელია, რაც ხანი გადის, მით უფრო საზარელი და სომინელი ჰხდება ეს უბედურება, რადგან ადამიანი თანდათან უფრო ნათლად ჰგონობს საკუთარ სისუსტეს და თავის ბედიდობის შინაგან

უხირობას. ეს დრამატული ხლართი თითქმის არ განიხილება საბუნებისმეტყველო კლასიკურ ტრაგედიის წყობისგან. ამ ხლართის სქემაში შეტრდ ძლიერი სუბიექტი დრამა შეიძლება ჩაიტვიროს.

ბ. ტ. რამიშვილის „საბუნებისმეტყველო დრამაზე“ ამ შემკვადრეობის ხლართზე აკებულ დრამა. სოციალური მოტევი საქართველოს ბრწყინვალე წოდების გადაქცევის და დემოკრატიული ტრენდების აღორძინების მოლოდინის დაბად სოციალურ წრეებისგან მხოლოდ დრამის დეკორატიული მხარეა, თვით დრამის კი ის ტანჯვა და სულის ქეჩუნა შეადგენს, რომელსაც მდიდარ შემკვადრეობის თჯახი განიცდის წინაშითაგან შემკვადრეობით მიღებულ უკუგონებულ სენის გამო. შემკვადრეობა, როგორც ადამიანის გარეშე რამ მდგომი ძალა, სამოლოურად გამოსახულია საბუნებისმეტყველო დრამაში. ეს დრამა უბრალო ნივთია, მაგრამ რაღაც გაუგებარი, გონიერი ძალა და ამ ნივთი თითქმის გულის და სულის აძლევს, ამოძრავებს და ამოქმედებს ამ მკვლევლობის მოსხდენად, რომელიც შემკვადრეობის ძალით უნდა მოქმედოს დრამის ერთ-ერთ გმირს. როგორც შემკვადრეობა არსებითად გაუგებარი და სასწაულებრივი, ისევე უცნაური და იღუმელებით სასე საბუნებისმეტყველო დრამის მიზიდულება უბედურ თჯახისაა. ეს სამოლოური მკვლევარა იმის მიხედვით, რომ რამიშვილის დრამის უძლიერესი მომენტები სწორედ ის ადგილებია, სადაც დრამის ჰემოქმედობს. აქ მკვადრეული ჰგონობის, რომ რაღაც იღუმელი და დაუძლიერებელი ძალა ჰემოქმედობს, სჯერა ამ ძალის არსებობა, ისე როგორც შემკვადრეობა. საბუნებისმეტყველო დრამის არც შემკვადრეობის ისეთი თეობითი ნიშნია, რომელიც სხვა რამ ნიშნით შეიძლება შეიცვალდეს, და არც რეზონანსული რამ მსჯელობა შემკვადრეობის განხილვა; ეს დრამის ნივთიერი წინამორბედი მომავალ უბედურების, რომელიც უნდა იყოს თავიდან აცილებინათ და დაეთრუნებინათ, მაგრამ ამაღ.

ბ. ტ. რამიშვილის დრამის კარგი ხლართის გარდა, ახსიათების ტიპების მოხდენილი შერჩევა და საწარმოების მინაწილის მოლოდინობა. უნდა აღვნიშნოთ მხოლოდ, რომ სისუსტე ეტენება იმ სულიერ ბრძოლის მინაწილად გონვითარებას, რომელსაც თავის მოკვლამდე მიჰყავს უკუგონებულ შემკვადრეობითი სენით შეუბრძობელი ექსმა.

ზანგი



Handwritten signature

მ რ ი ს უ რ ა თ ი

I

ღამის მანტიით შემოსუდრულს სძინავს სოფელსა,
 კენესის სიმები მკედრულ სიჩუმეს დაუწყვეტია,
 შავ-ჩრდილთ ქსოვილი წამოუხსამს უტყვ მინდორ-ველსა,
 რუც აღარ მოსთქვამს, მასაც სძინავს, ხმა გაქმენდია.
 ტყე არ შრიალებს, უნიაგო, შავთ ფოთლილი,
 თითქო სიჩუმით მასაც გული დაოსებია,
 და თავ-ჩაქინდრულ ხეთა გროვა, ნისლით მოსილი,
 სალ-კლდეთ მონაბერ უძრავ აჩრდილთ დამსგავსებია.
 ღრუბელთ ზოლები, ცის კიდურზე გადმოწოლილნი,
 ვით მარმარილოს მკრთალი ფრთები გამწკრივებულან
 დამუქის მკერდზე, სივრცის სუნთქვით გადმოსროლილნი,
 წარსულ სიკაცხლის უკვდავ ნიშნად გაქვავებულან.
 თხემნი მთისანი, მქრალ სამსხვერპლოდ ცად აზიდულნი,
 ღრუბელთ იალქნებს ცივ ამბორით ეკანებიან
 და ჟამთა სრბოლის ქანდაკება-ხატად ქვეულნი,
 მთვარის ცივ შუქით უცნაურად იმოსებინან.
 ნიავის ფრთებით კაცმანი დაჰქრის ტყე-ველად,
 სვედის ჰიმნებით დაჰსისინებს ყრუ არე-მარეს...
 აქ სიკვდილია მიმალული სიჩუმის მცველად,
 ბოროტი სული დაჰხარხარებს უბედურ მხარეს...

II

მზის პირველ სხივთა მოციალე კონით მსხვრეული
 ქალაქს სცილდება ნისლის ჩადრი, ცით მონაბერი,
 ღამის ბურუსი ნიავს ერთვის, დილით ძლეული,
 იღვიძებს ბრძოლის საოცნებო ცა მშვენიერი.
 ქუჩა გუგუნებს, ქუჩა გრგვინავს, მაშვრალთ სავანე,
 უხილავ ძალთა სტიქიონით გატაცებული,
 ცხოვრების ფარგლებს ეხეთქება, ვით ოკვანე,
 სასტიკ ქარიშხლით ანაკვნესი, აზვირთებელი.
 ფოლადთ კერპები, დარაზმულნი ცეცხლის მფრქვეველად,
 შრომის ემბლემად, ვით ტაძარნი, ზე-აღმართულნი,
 რაზმთ უყვიან ბოროტ სულთან შესაბრძოლველად,
 გრდემლის ზანზარში ხმაღსა სქედენ ამქუხრებულნი.
 კენესა-ვაება, უბედობით გამოწვეული,
 ერთვის განცხრომა-ფუფუნების კისკის-სიცილსა,
 შურისძიების მძლე წყურვილი, მასში რეული,
 ქმნის აკკორდს ციურს, სიმთ აელერებს, სხივით ქსოვილსა.
 და ამ აკკორდში უცხო ჰიმნის ისმის ხმა ტკბილი,
 მასში გამოკრთის ამომავალ ვარსკვლავთ ციალი,
 ეგ ბრძოლის ხმაა, მომავლისა გამოძახილი,
 მასში გაჰკვივის საუკუნეთ ჩარხის ტრიალი...

ს. აბაშელი



დასავლეთ ევროპის ლიტერატურა

1848 წლის რევოლუციის მეორე დღე

(გაგრძელება იხ. „თ და ც“. № 30)

II

1848 წლის შემდეგ სიტყვა-ჯაშუღი ლიტერატურა მხოლოდ იმასა ცდილობდა, როგორ დაემკრებინა რევოლუცია და მისი მონაწილენი.

დიკენსმა მიმართა ისტორიის და დასწერა რომანი „ორი ქალაქი“, რომლის თემა საფრანგეთის დიდი რევოლუციაა. მისი აღწერით, წვრილ ბურჟუაზიის გმირული ბრძოლა ველურ ინსტიქტთა სატურნალია, მკვლელთა და ჯაბაჯართა შაბაში, „მხეც-ადამიანის“ გამარჯვება გამოდგება. აი, როგორ აღწერა დიკენსმა იაკობინენი:

„ეზოში, საღვსავ მანქანასთან შერგოვილი იყვნენ მა-აწეწილ ველურ ავაზაკთა ბრბონი. ქალნი მათ სთავაზობდნენ ღვინოს, რომელიც მიწაზე იწებოდა. ამ დანთხეულმა ღვინომ და ქვიდან ამოკვეთილმა ნაპერწკლებმა მათს გარშემო შექმნეს ცეცხლისა და სისხლის ატმოსფერო. გაღვსენ დანები, მოედნენ ქუჩას და მათს თვალბეჭეში ბრწყინავდა წითელი ალი“. ბოლოს დასძენს: „ყოველი ხალი მოაზრე ადამიანი გამოეთხოვებოდა ნახევარს სიცოცხლეს, ოღონდ ერთის მარჯვე სროლით გაექვებებინა ეს თვალები“. შემდეგ დიკენსი აღწერს ცეკვას — კარმანიოლას: „აგერ კუთხეში გამოჩნდა ბრბო, ხუთასი კაცისაგან შემდგარი. ისინი ცეკვამდნენ, როგორც ხუთი ათასი ღვინო. არც ერთი ბრძოლა არ იქნებოდა ამაზე საშინელი“.

დიკენსი ამბობს, ქალები, ოჯახისკერის მშვიდი მფარველნი, გარდიქმნენ ველურ და შეუბრალებელ რისიკებდა. რევოლუციური იდეალიზმი და ქაბარში გარკობილი ხანჯლები კაპას ღვინო ვეფხვებს მოვარგებდნენ. საფრანგეთის რევოლუცია, დიკენსის აზრით, გამოსადეგი გაცვეთილია ინგლისელ კაპიტალისტებისათვის. თუ ეს უკანასკნელნი იბატონებენ ისევე მტარვალურად, როგორც ფრანგი არისტოკრატია, მუშები აჯანყების დროშას აღმართავენ და ამ აჯანყებას თან მოყვება იაკობელთა დიქტატურის საშინელებანი. რომ უფრო მკაფიოდ გამოსთქვას თავისი აზრი, არისტოკრატის დამსჯელ მდაბიო ფრანგებს დიკენსი უპირისპირებს

თავის ნებით პრივილეგიების უარმყოფელ არისტოკრატს, ხოლო მებატონე კლასების წინააღმდეგ ამხედრებულ ფრანგ ქალებს უპირისპირებს ინგლისელს ქალს — მოსამსახურეს, რომელიც უანგაროთ იცავს თავის ბატონის ინტერესებსა და სიცოცხლეს.

გერმანიაში, 1848 წლის შემდეგ, გამოვიდა რომანთა მთელი წყება, რომელმაც ლაფეში ამოხვარა მარტის აჯანყების მონაწილენი. ამ რომანების აღწერით აჯანყების მონაწილენი ჯადოსანი, უღმერთონი და ავადმყოფი ერთმანები იყვნენ. ასეთის ტენდენციით იყო გაელენთილი შვილპაგენის რომანი „უცნაური ქმნილება“¹, რომლის ყველა გმირები რევოლუციის მონაწილენი არიან; უხასიათო მეოცნებე ოსვალდი, ყველას გამკლავი ბირონ ოლდენბურგი, პესიმისტი, ნირვანის მაღიარებელი პროფესორი ბერგერი და, დაბოლოს, ეპიკურიული ჩათუქესანი ტიმი. რომანის დასასრულს, ყველა ესენი ბერლინის ბარკადებზე შეხვდებიან ერთმანეთს. რაა მიზეზი მათის შეხვედრისა? ოსვალდი და ოლდენბურგი სიცოცხლობენ დღემდე იმედით, რომ ორთაგან ის, რომელიც ცოცხალი დარჩება, დაისაკუთრებს მშვენიერს მელიტას. ტიმი, რომელიც არ სცნობდა ხალხისადმი სიმპათიას, ინსტიქტურად გრძნობდა, რომ იმ დროს, როდესაც ყველაფერი ყირაზე დაყენებული, მის მავგარი ავანტიურისტი არა თუ რასმე დაკარგავს, მოიგებს კიდევც. დაბოლოს, პროფესორი ბერგერი თავისუფლებას მტლად ედებდა, რადგან მისი ნერვები ველაიტანენ სიცოცხლის აურაზურსა. ერთი სიტყვით, სიყვარულში ქიშპობა, გაიძვერობასა და ავანტიურებისადმი მიდრეკილება და სიცოცხლით მოყრატება — ასეთია: შვილპაგენის აზრით, ის მოტივები, რომელნიც აიძულებდნენ გერმანელ ინტელიგენციას მონაწილეობა მიეღო ფეოდალურ მონარქიის წინააღმდეგ ბურჟუაზიისა და დემოკრატიის რევოლუციაში.

საფრანგეთის ლიტერატურა მართალია არ იყო გართული ისეთ სასიქადულო საქმით, როგორცაა სისხლით დაკლილი რევოლუციის გაფურთხება, მაგრამ მაინც უიმედო პესიმოზმით იყო მოკული.

რეპტიკონურ ეპოქის დიდებული ძველი იყო ბოდლერის ლექსთა კრებული „ბორატეხის ყვავიანი“, ამ კრებულში მოთავსებული

იყო ლექსები იმ ხანისაც, როდესაც ბოდღერი გატაცებული იყო რევოლუციითა და პროლეტარიატით.

1848 წლის შემდეგ, როდესაც ბოდღერი აბსოლიუტიზმისა და იესუიტების თაყვანის-მცემელი შეიქმნა, მისმა პოეზიამ ელფერი გამოიკვალა. მართალია, მას ამის შემდეგაც ეჯავრებოდა ცხოვრების ახალი ბატონ-პატრონი—გამძლარი ბურჟუები და მდაბიო მოქალაქენი. ამათ რომ სინიღისი სავსებით გამჭრალი არა ჰქონდეთ, შეუალამისას ასეთი აღსარება უნდა უთხრან თავის თავსაო:

„უზარკყავით სიმართლის ღმერთი იესო, სუსტებს ვჩაგრავედით, ბორკილებს ვეთაყვანებოდით... მაშ ჩქარა ჩავაქროთ კანდელი, ჩავინთეთ ღამის წყვდიადში“...

მართალია, ბოდღერს ეზიზღებოდა გამარჯვებული ბურჟუა და იმავე დროს დარწმუნებული იყო, რომ უკეთესი მომავალი შეუძლებელია. ამიტომ მთელი ქვეყანა ბოდღერს საგოყეთად ეჩვენებოდა: ბოდღერის აზრით, ამ ქვეყნად თავი მოეყარა ყოველგვარ საშინელებასა და საზიზღრობას, მებანქოეთა სახლებსა და ამყარებულ საავადმყოფოებს, ალკოჰოლიკებსა, ჰაშიშისტებსა და გალიუცინაციებით დაავადებულთ. ყოველივე, რასაც წინედ ბოდღერი აღიარებდა, ახლა ქიმერად ეჩვენებოდა. ყოველივე კუნძული, რომელიც ჩვენ თვალებს წინ წარმოადგება, ელდორადო გვეონია; მხოლოდ დღის სინათლეზე თუ დავინახავთ, რომ ეს კუნძული—„ცივი და ცალიერი, პიტალო ქეა“. ამ სიბინძურესა და მოწყენილობას ბოდღერი ხანდახან თავს დააღწევდა ხოლმე: გადახედავდა თავის სიყმაწვილის უღარდელ ღლებს, ან ოცნებით გადაფრინდებოდა ხოლმე ელადის რომელსაზე სოფელში, სადაც მზის სხივი ოქროს ფრად ღებავდა ღმერთთა და გმირთა ქანდაკებათ, სადაც „დაუხარჯავ ძალ-ღონით აღსავსე ცეცხლით“ ღვიგოლენ ქალნი და კაცნი, რომელნიც მოურიდებლად იგემებდნენ სიხარულის მაცოცხლებელ სასმელს. მაგრამ წარსული განქრა. მომავალი აღარ არის. ბოდღერს ერთი იმედი-და დარჩა: მისი გემი, რომელსაც სიკვდილი მართავდა, დაბოლოს მიაგდებდა პოეტს რომელსაზე, კარგსა თუ ავს, უცნობ ქვეყნის კიდევს...

მაშინ, როდესაც სიტყვა-კაზმული ლიტე-

რატურა ფურთხით უმასპინძლდებოდა რევოლუციის ანუ, ქეშმარიტად რომ ვისთქვათ, პესიმიზმის ჩადრში ხევევოდა, მარქსმა და ენგელსმა სამარცხვინო ბოძზე გააკრეს მშინზარა ბურჟუაზია და გაუბედავი მდაბიო მოქალაქე, რომელთაც ძველ წეს-წყობილებას მიყიდეს ხალხის ინტერესებიცა და თავისი საკუთარი თავისუფლებაც. ამ საქმის დროს ენგელსი მიმართავდა ისტორიას (გლახთა ომი XVI საუკუნისა), ხოლო მარქსი თავის დასკვნათ აწყობოში ეძიებდა (18 ბრიუმერი ლუი ნაპოლეონისა). ამ ოსტატურ პამფლეტებში სამავალითოდაა დახატული ბურჟუაზიული და მდაბიო მოქალაქე პოლიტიკოსები, რომელნიც არ ერიდებიან არავითარ კომპრომისებს, არ ერიდებიან ღალატსაც! ეს პოლიტიკოსები მარჯვნივ მტრების დასამზობად მარცხნივ ეძებენ მეგობრებს! ხოლო თუ მარცხნივ მოუხდათ ომი, მაშინ, რასაკვირველია, მარჯვნივ ეძებენ მეგობრებს. ეს პოლიტიკოსნი—გაუბედავნი და ცვალებადნი, ეგოისტნი და ანგარნი—ყოველსავე გარემოებას ეწყობიან: რევოლუციის ქარიშხლის დროს ისეთს პოზას იკავებენ, თითქო, აი-აი, უნდა ძველი წყობილება შემუსრონო, ხოლო თუ დამარცხდა რევოლუცია, წაქცეულსა და უძლურს თან მიაყოლებენ საზიზღარ სტენეასა და ქუჭკიან უფურთხს...

შებრე დღვაძე



წ ა რ ს უ ლ ი დ ა ნ

ბრძოლა იყო...
ხალხს მოსწყინდა მუდმივ, უხმოდ ბორკილის ტარება და მკლავი ამართა.
დამონებულნი და დამონებულნი ერთმანეთს შეეჯახენ.
მე ამას წინასწარგვძნობდი...
დაბადებიდან თან დამყავ ბრძოლის წყურვილი და ჩაგრულთ სიყვარული.
... ნალარის ხმაზე მეც თავი წამოვყავ.
...
ყველაფერი აირია... ბრძოლის ყიჟინი, თოვ-ზარბაზნების ხმა, დროშის ფრიალი, მწარე კვნესა, ოხვრა-ვაება, ტირილ-ხარხარი ერთად შეზავებულიყო და ყველა ამას „ბრძოლის საშინელება“ ეწოდებოდა.
ჩაგრულთა რაზმმა წინ წაიწია და მეც წინ წავდეგ.

„ზ., ზზ...ზზ...ტკაც“ გაისმა და გონება-
არეული, მუხლ-მოკვეთილი ძირს დავეჭვი...
მხურვალე ტყვიამ გული გამიბოლა... ვერაფერს
ვერძობდი...

. . . და როდესაც თვლები გამოვახილე...

შენ დაგინახე, ჩემო ძვირფასო!

მოყვარულო... შენი თვალები ღმობიე-
რება-თანაგრძობას გამოხატავენ და შენი სა-
ხე სხვის ტკვილზე უზომო ტანჯვას.

შავის თვალებით ჩამჩერებოდი და ნაღ-
ლიანად მიღიმებდი.

კენეს აღმომახდა...

შუბლზე ხელი გადმისვი: „ნუ, ნუ იქ,
ჩემო კარგო“, დაიღულუნე და ორი, შენ ნაზ
გრძნობათა ფრთებ ქვეშ გამოთბარი, ცრემლი და-
მეტყა გულზე... დაკოდილ გულზე.

ღამობარცდიო ყველა...

მაგრამ მე შენის მეტი არაინ მახსოვდა.
მხოლოდ შენით ვსუნთქავდი... ღმერთავ!

განვლო დრომ და შენი ნაზი ალერსის
წამლობით ჭრილობამაც გადამიარა, გული გამ-
თელდა. მოგრი და შენს საძიებლათ გამო-
ვეშურე.

ენატრობდი—მაგ თვალებში კვლავ დამე-
ნახა სიყვარულის ალგზნებული ცეცხლი,
მწყუროდა შენი ნაღვლიანი, თანაგრძნობითი
ღიმილი...

შორს მოკვარ თვალი და... ოჰ, რა რი-
გად დამიწყო გულმა ტოკვა, სისხლმა ღელვა...
მუხლები მომისუსტდა და შევედგე...

გულის ფანქალით მოველოდი შენს მო-
ახლოებას.

საკმარისი იყო, მხოლოდ ერთის წუთით
შემოგვებენდა ძველებურათ, რომ უსახლგრო
ნეტარება მეგრძნო, უზომოდ დამეტკბარვიყავ...
გელოდებოდი...

მომიახლოვდი...

სულ ახლოს მოხვედი. მინდოდა დამეძახ-
ნა, მაგრამ ენა ვერ მოვებრუნე, რაღაც დავი-
ლულულედი...

ჰა, ორი ნაბიჯიც კიდევ და შენც გამის-
წორდები...

და... ამ დროს ჩემად ჩამიარე გვერდით,
თითქოს ვერც კი მიცან, ვერ შემამჩნიე.

ზარდაცემულმა, რომ არ წავეტყუეოყავ,
ხელი ტოტს მოვავლე.

ისიც მოტყა. ხმელი იყო... უსულო...
მის ხმაზე შენ ერთის წუთი უკან მოი-

ხედე და... ღმერთო ჩემო!..

სრულიად უგულო, უგრძნობელმა თვა-
ლებმა ცივად მომანათეს.

ისინი ძველებურად შავად გამოიყურებო-
დენ, მაგრამ... მაგრამ მათში გულციობა და
დამტკრება გამოსჭვიოდა.

და შენ ისევ მიიმალე...

მთელი კვირა გიდარაჯებდი ისევ იმავ
აღვილას. დღე ვერ ვისვენებდი და ღამითაც
არ მეძინა,

შენ გელოდებოდი...

თუნდა სიკვდილიც მოჰყოლოდა, მინც
მინდოდა შენს თვალებში ის ძველი გრძნობა
და გამომეტყველება მეხილა... შენი ცრემლი
დამპკურებოდა...

. . . და შენ კვლავ გამოჩნდი შორით
მომავალი. გზა ჩემკენ გქონდა. შუა გზაზე გა-
მოველ; ამაყად თავი ზევით ავსწიე და ერთ
წუთში გული ლახვარით ვიგმირე... ღონე-მიხ-
დილი ძირს დავეჭვი, მაგრამ შენ მინც თვალი
ვერ მოვაშორე.

შენ მოველოდი...

იმედით ვსუნთქავდი, რომ გულდაკოდილ-
მისუსტებულს ძველებურად მომიოხებდი, კალ-
თაზე მიმისვენებდი... და შენ კი...

თავდახრილი, ისევ ისე გულცივად და
შუბლშეკრული ჩაიარე...

ოჰ, რა ცივი, უგულო იყო შენი თვა-
ლები... მიიმალე...

კარგა ხნის შემდეგ, გული კვლავ გამ-
თელდა, ძარღვები გათბა, ნაგრამ შენ-კი ისევ
ისე ცივი ხარ.

. . . ახლა-კი მივხვდი, რათა...

შენ მომიოხებ მხოლოდ ბრძოლაში გულ-
დაფლეთილს და ამ გულს გამითელებ კვლავ
საბრძოლველად.

მხოლოდ ბრძოლაში გულგაბობილს მი-
მისვენებ გულზე და ცხოველ ცრემლებს მამ-
კურებ...

მოყვარულო...

მხოლოდ მაშინ მომანათებ თანაგრძნობა-
სიყვარულით აღსავსე შავის თვალებით...

მხოლოდ მაშინ... ბრძოლის ველზე და-
კოდილს.

და მეც... ვმხნობ, ჯერ კიდევ ვიმე-
დოვნებ...

ვუცდი იმ ბრძოლას... მაგრამ!..

მაგრამ, ვი, რომ ჩვენი ხალხი ბრძოლით
დაშინებულა. ის ბრმა და ყრუა... ჯერ სულით
მონა და

მეც... სახიერო!..

მეც ხომ იმისი პირმშო შვილი ვარ...

აკაკი პაპავა

შვილი მუშა ბოქულამისა

(ლექსისებურ ა*)

განცხრომის ძვე!

ნულარ მიმზერ ავრე გაკვირვებითა!..

გავიცანი ჩემი თავი აწუ კი მე:

შრომის ოფლით განწმენდილ-განბანაილსა,

მანუგეშებს მომავალი სიამე!..

ნუ ირჯები!.. შებრალებას აღარ გთხოვ,

ეს ჭალარა მისთვის როდი მასხია!

ტანჯვამ მშობა, შრომამ გამომკვება მე,

სილარიბემ აკვანი დამირწია,

გამაკავა ცხოვრების სიღუბჭირემ!..

გავფლადი შენგან ნაგვემ-ღვენილი,

ვერ გამტება შენმა ბრმა სივრაგემ,

გადღეიტანე ათასი განსაცდელი!..

თავს ნუ ხრი ძირს! პირდაპირ შემომხედე,

ნულარ ოხრავ და ნულარც გებრალები,

ფარისევლის ნიღაბი ჩამოიხსენ,

გამისწორე ეგ ცბიერი თვალეზი!..

ნუ გგონივარ საბრალო მამაჩემი

ბოქულაქე—მუშის ბედის მგომბელი,—

ვინც სიციცხლე ძალზე განაწამები,

სიამენი, გრძნობა დაგუბებული

შემოგწირა მხოლოდ ლუქმა-პურისთვის!..

სოფლის გარედ უწყალოდ განდევნილსა,

ვისაც აჯექ ზურგზე სიმდაბლისათვის!..

ბოქულაქემ არ იცოდა ვინ იყო,

დღე მარადის ცრემლს აფრქვედა მწუხარე,

ვერა გრძნობდა, რომ ისიც კაცი იყო,

ამშვიდებდა მარტოოდნე სამარე!..

გულ-მოკლული, უმეცარი, საბრალო,

ვერ ხედავდა მომავალშიც ნუგეშსა,

შავი მიწაც მას არგუნე სამადლოდ,

შესტკეპროდა შენს ხელსა და უბესა!..

„წყეულ იყოს მუშის გამჩენელიო“

დღე და ღამე მარად თავსა გლოვობდა,

და, ბეჩაივი, მლოდნე შენის წყალობის,

შენვე გლოცდა, მარტო შენ გადიდებდა!..

მომისმინე, ჩემო ნაბატონარო!

ნუ მიბღვერი, ნუ გამდგარხარ განზედა!..

მიტომ ჯავრობ, ცხოვრების ნებეირო,

რომ არ გიმდერ მაიჩემის ჰანგზედა?!..

გაუმარჯოს მუშა —კაცის მარჯვენას,

ღვაწლმოსილსა ტანჯვას, შრომას მრავალსა,

*) პირველი ვარიანტი ამ ლექსისა დაიბეჭდა „ივერიის“ 1905 წელს.

გზა გაგვეხსნა ცხოვრების სარბიელის, ტრფობით შეფცქვით ჩვენ ახლო მომავალსა!

განცხრომის ძვე! ნუ გარბიხარ, მოიცა,

მათქმეინე ჩემი ეულის ნაღები:

ეს ქვეყანა მარტო შენთვის არ ქმნილა,

აწ იქმარე, რაც მოხალე ნაღები.

ზღვა—ხმელეთი გეკუთვნოდა ოდესღაც,

გაზაფხულის სუნნეღების ნიაივც

შენ გატკობდა... მადლით გიღიმოდა ცა...

ნებეირად გაზრდილ-გალადებულსა

არად გინდა სხვა,—შენებრივ კაციცა,

ნამუსს ჰყილდი, სხვაგანაც ყიდულობდი,

უნამუსოდ დარჩენილხარ მიანცა!..

ნუ წუწუნებ!.. თავსაც ნულარ მბრალბე,

ნუ მიწოდებ ძმთა და მეგობრათა;

ან კი მოთხარ; რა აქვთ სძმო, საერთო

აღალ მუშათ და მზაკვარ მეკობართა?!..

რისთვის შეკრთი? გაიგონე კიენა,

ბალით გესმის ჰიანურის, ლხინიხ ხმა?

იქ არიან ჩვენი მუშა ბიჭები,

შრომის შემდეგ გაუმართათ დიდი სმა.

წავალ მეც იქ! იმათაც ვენაცვლები!..

უიმათოდ არად მიღირს სიციცხლე,

შრომის შეიღნი ერთობას ვუგალობებთ,

ერთობაა ჩვენი ბექე, ჩვენი ზღუდე!..

იქვე დავლევ მამის შესანდობარსაც,

იმ საბრალოს საიქიო უყვარდა!..


ახლა იგი შენთვის დამილოცნია,

ნებეირო, შენი სვე ხომ შურია!?

გეყო, ფლიდო, ამდენი ბატონობა,

დიღურს მუშას მეც სიციცხლე მწყურია!..

ია ეკალაძე



მიმიკა

(წინასიტყვეობა იხ. თ. და ც. № 27 *)

I

საერთო მიმოხილვა

მიმიკა ანუ „მოქმედების ენა“ (le langage d'action) არის უნივერსალური, რადგან მოქმედება გრძნობათა გამოხატულებად უკლებლად ერთნაირია ჩინეთსა, ინგლისში და საქართველოშიც.

მიმიკა არის ხელფანება—გამოხატვის უკლებლად საშუალებით განსაკუთრებით-კი ადამიანის სხეულით,

*) ამ წერილების ბეჭდვა სურათების მოუსწრებლობის გამო შეგვიანდა.

რედ

ყოველივე ის მოძრაობა, რომლის ძალითაც განსხივრდება ადამიანის ეგვლა გრძობა.

მიმაკა არის სპირიტუალური ხელფეხებისა, რადგან იგია მოქმედება, ე. ო. ენა ეგვლაზე ნათელი, ეგვლაზე შიშველიაობა, და, თუ შეიძლება ასე თქვას, ეგვლაზე გადაძვება, რადგან მუყურებელი, როცა უყურებს მიმაკით გამოსხივლს გრძობას—მიამაყის შინიღების ძალით—თვითონვე განიღდის ეგვლა იმ დეკლასა და სხვა გრძობათ, რომელსაც მას აჩვენებენ ნაშეებით.

მიმაკაში შედის სახის გამომეტყველება, ექსტები, მდგომარეობა (სიარული, დავდამა, ფეხზე დგომა). ერთი სიტყვით, ყოველივე მოძრაობა სხეულისა; აგრძელები სიდილი, ტირილი და ყოველგვარი ინტონაცია ხმისა.

მიმაკის მოძრაობა იუფავ ხუთ ნაწილად:

1) მოძრაობა მოქმედებისა (mouement d'actian) ე. ო. უბრალო მოძრაობა, რომელიც სპირიტა რამე მოქმედების შესსრულებლად: ჭამა, სმა, სიარული და სხვა...

2) სახასიათო მოძრაობა (mouement de caractere) ე. ო. ისეთი მოძრაობა, რომელიც სახასიათებს ამ თუ იმ ადამიანის ბუნებას, ჩვეულებას, დირსებას და სხვა.

3) ინსტიტუტური მოძრაობა, ე. ო. მოძრაობა უნებური.—რომელიც უნებურად სახავს რამე ადელავებას—ფიზიკურს ანუ მორალურს.

4) მოძრაობა სასწერავი (mouement descriptif), ე. ო. წინადვე მოთვარებული, შედგენილი, ნებური მოძრაობანი, რომელთაც მიზნად აქვთ გამოსხივლ რამე სურვილი, სასწერონ ესა თუ ის ხიერი, აჩვენონ რამე ნივთი, რომელიმე წერტილი, რამე მიმართულება.

5) მოძრაობა შესასრულებელი, სდაც მონაწილეობს მთელი სხეული, რათა ამ თუ იმ გამომეტყველებას მისცეს უფრო მეტი ძალა, ჰარმონია, ანუ შესასრულოს, დაამთავროს.

რათ მიმაკა იყოს სრული, სპირიტა ყოველივე მოძრაობა გავთლეს ერთად: მდგომარეობა, სახის გამომეტყველება და შესტო.

სახასიათო გამომეტყველება მეტ წილად მოქმედებისგან შესდგება, ინსტიტუტური გამომეტყველება მეტ წილად სახის თამაშისგან, ხოლო სასწერავი მოძრაობა მეტ წილად ხელეების შესტებისგან შესდგება.

მისახობაში, ვიდრე მიმაკის სწავლას დაწეებდეს, უნდა შეიძინოს:

I მღასტიკა, თავისუფალი მოძრაობა თავის სხეულისა, ასოების და სხვის კუნთების (მუსკულებისა).

II კარვად ცოდნა ეგვლა იმ მოქმედებისა, რომელიც უნდა გააკეთოს.

III თავისუფლად, ნორმალურად, უბრალოდ და სწორად შესრულება იმ მოქმედებისა.

IV კარვად იცოდეს ახრი, დანიშნულება და მნიშვნელობა თვითველ მოქმედებისა.

ჩვენ სხვა დავიწეობთ იმის სწავლას, თუ როგორი მოქმედებანი შეგვიძლიან გააკეთოთ სხეულით, სახით, სხვა და სხვა ასოებით, ხელებით, და ადგინაშავთ, რა მნიშვნელობა აქვს ამ თუ იმ მოქმედებას, გამომეტყველებას და სხვა.

ვიდრე ამას შევუდგობდეთ, ვიტყვით, რომ მიმაკით შეიძლება გამოახივლ (გარდა ორიდელ შემთხვევისა) მხოლოდ ზმნა (Глаголь) და სხვა არაფერი.

აგრძელები მიმაკა უნდა უძღოდეს წინ სიტყვას ისე, როგორც ეგვლა უძღვის წინ ქუხილს. რათა? იმიტომ, რომ ასეა ცხოვრებაში. ჩვენ ეგვლანი ასე ვხადით, როცა ვლანარაკობთ. დაუგვირდით, მაქციეთ უურადლება თქვენს თავს, თქვენს ნცნობებს, მეტობებს და ნახვით, რომ მე მართალი ვარ: თქვენ და თქვენი ნცნობები, ვიდრე ლანარაკს დაიწებდეთ,—მოქმედებთ თქვენი ხელებით, სახით და სხვა ასოებით.

მაგალითისგ მივიყვან. როცა სადე ხართ და იქ ცუდი ჰქირა, ან ცუდი ხუნი, —ცხვირის სესტობის საწევით და შემდეგ იტყვით: „ოჰ! რა ცუდი ხუნი დეა!“ აგრე არ არის?

მიმაკა უნდა მოამზადოს სიტყვა.

აი, რას ამბობს დე ე გ უ ვ ე თავის შემუყრებში გამოჩენილ მსწავლებელ სამსონის შესახებ: „ერთხელ სამსონმა ზატოვი მცა და სდალად მოსვლას დამიბრდა. შესრულდა შვიდი საათი. ეგვლა სტუმრები მოვიდნენ, სამსონი არსად სხანდა, შვიდის ნახევრათ, — სამსონი არ არის. ეგვლანი მავიღას შემოყუსხედი და უამისოდ შექმეცით სდალს.

მეორე დღეს ერთი სავითო მეკობარათაგანი მივიღას სამსონის მსწავლებელი მაშინ გავვითლეს უხსინდა. „ძლიან ზრდილობანი ემწევილი უოთფილხართ, — უთხრა სამსონს მეკობარათა: — ბ. დე ე გ უ ვ ე სდალი დავიწეადო? — ოჰ, მართლად... დმერთო ჩემო! გუშინ იყო განა ე გ სდალი... ჩემი ბრალი არ არის, ჩემ ცოდს არ უთხარი და, რადგან მე მავთნება მხოლოდ ის, რასაც ჩემი ცლი მიკობენის...“ უცებ შედგა, და მიუბრუნდა თავის მოწა-

ფეს: „ქალბატონო, შეამჩნიეთ, როგორ მითხრა ამ უმაწიელმა წელან? განა მან, შემოვიდა თუ არა, ხარღანით მომხსალა: „თქვენ ზრდილობიანი ხართ?“ არა! ჟურ ხელები გაშალა. შემდეგ თავი გაიქნია, კარგად დამცქერდა, და მხოლოდ ეკვლა ამ მოქმედების შემდეგ მითხრა: ზრდილობიანი ხარა... ხომ გესმით ახლა, შე მართლად ვარ, როცა გუგუნებით, რომ მიმივა უოგელოვის წინ უნდა უძღოდეს და ამჟამად აღბეჭდეს სიტყვას?“

გაგვიჩვენებს ჩვენც როდისვე სამსონისთანა მსაჩვეყლები? **გიორგი ჯაბადარი**
(ბრიუსელი)

სათეატრო ამბები

ადგილობრივი

ქართულ დრამატულ კურსების დაარსების საქმე წინ მიდის. დრამ. საზ. გამგეობას უკვე წარედგინა შესაფერი გეგმა, სამის ნაწილით: **ა**, სავალდებულო, **ბ**, არასავალდებულო და **გ**, დროგამოშვებითი. სავალდებულო — დიქცია, მიმიკა, ცეკვა, ხმის შემუშავება, გარბი, დელამაცია; არასავალდებულო — ისტორია დრამის კერძოთ და მწერლობის საერთოდ, მუსიკა (დაკვრა რომელსავე საკრავზე და სიმღერა); დროგამოშვებითი — თეორია პლასტიკისა და თანამედროვე მიმართულება სასცენო ხელოვნებაში.

გამგეობის წევრი ა. ბ. შიხინიცი სათეატრო საქმეთა გამო ქუთაისს გამგზავრა.

მომავალ სეზონისთვის დრამ. გამგეობა ქართ. ფილარ. საზ. გუნდს იწვევს. გუნდი პირველად მონაწილეობას მიიღებს „სატანა“-ს პროლოგში.

ახალი დეკორაციების ნიმუშები („სამშობლო“-სი და „სატანა“-სი) შესწორებულ იქნა და მალე დასახატავად გარდაეცემა.

სმხ. დრამ. მსახიობთა აშხანავობას განზრახვა აქვს, მომავალ სეზონში ქართულ თეატრში პერიოდული წარმოდგენები მართოს. რეპერტუარი განსაკუთრებით ფარსებისა და კომედიებისგან შესდგება.

ქართულად მსაღებმა ოპერეტა „კლდე-მღელა“-სი ნიტში.

არტიტ. საზოგ. საზაფ. თეატრში ამ მოკლე ხანში გაიმართება ქართულ-სომხური წარმოდგენა.

განზრახულია კლასიკურ პიესის „ანტიგონა“-ს ქართულად წარმოდგენა. სამუსიკო მხარეს განაგებს ნ. გ. ქართველიშვილი.

„ფიგაროს ქორწინებისთვის“ უკვე სდგება ბალეტი ქართული წარმოდგენისთვის.

სახაზინო თეატრი მომავალი გაზაფხულისთვის ორის თვით აიღო ხერსონელმა ანტრ. ნ. დ. დღებდევმა.

განზრახულია ქართ. მუსიკის პოპულარიზაცია მომავალ სეზონში. სხვათა შორის, შესრულებულ იქნება ანდრია ყვარაშვილის მუსიკალური ნაწარმოები.

მუსიკა კეთილმსახურების დამარღვეველი ყოფილა, როგორც ეპისკოპოსის დიმიტრის წარმოდგენილია. გავ. ყუბე მხარე“ გვაუწყებს: „ამას წინადასახულის ეპისკოპოსმა მღვდელ-მთავარმა დიმიტრემ კავკასიის ნამესტრის საჩივარი მისცა—„საქალაქო ბაღის მუსიკის ხმები მღვდელ-მსახურებს, ჩემს განწევნებასა და მონასტერში მცხოვრებ ბერების შვიდობიანობას არღვევენ და ამიტომ გთხოვთ აკრძალეთ“. ნამესტრის კანცელარიამ ეს საჩივარი სოხუმის ქალაქის თვითმმართველობას გაუგზავნა დასკვნის გამოსთქმულად. ქალაქის გამგეობამ მოითხოვა, ეპისკოპოსის შუამდგომლობა უარყოფილ იქნასო, ვინაიდან დღემამის ზურგზე არ მოიპოება ქალაქი, რომ ბაღში მუსიკა არ უკრავდესო.

ვალ. შალიკაშვილი უკვე დაბრუნდა ხონიდან, სადაც იგი სახაფხულო სეზონში რეჟისორად იყო მიწვეული, და თანამდებობის აღსრულებას შეუდგა. ამ დღეებში გ. შ. ქართლში აპირებს გამგზავრებას პიესა „მსხვერპლი“-ს ზოგიერთი ადგილებისა და ტიპების ადგილობრივ შესასწავლად.

დრამ. საზ. გამგეობის თაოსნობით დღეს, 12 საათზე, დრამ. საზოგადოების სადგომში შესდგება საქართველოს ისტორიისა და საზოგადოლო მწერლობის მცოდნე მოწვეულ პირთა კრება, რომელმაც უნდა განიხილოს და შეამოწმოს ისტორიულ პიესათა დეკორაციების ნიმუშები, ტანისამოსი, ბუტაფორია, ავეჯეულობა და სხვ.

სომხურად ითარგმნება გორდინის „სატანა“ და გოგოლის „რევიზორი“. ორივე პიესა მომავალ სეზონში დაიდგმება სომხურ სცენაზე.

სტამბოლიდან დაბრუნდა სომხ. ახალგაზდა მსახიობი აზიანა, რომელიც ორი წელიწადი იქაურ სომხურ სცენაზე თამაშობდა. მომავალ სეზონში სომხურ დასში მიიღებს მონაწილეობას.

თათრული თეატრის მწ წლისთვის დღესასწაულს იხდის შემოდგომაზე პიესა განმან. საზოგადოება „ნიჯაჯი“ და მთელი მოწინავე თათრობა. მწ წელი თათრებში საუკუნედ ითვლება. მომავალ წელს ასი წელიწადი სრულდება, რაც თათრული თეატრის მამამთავარი მირზა-ფატალი ახუნდოვი დაიბადა, ხოლო 25 წ. რაც გარდაეცალა. ზოგიერთები თხოვლობენ, რომ დღესასწაული მერმის იქმნეს გარდახდლი.

რეჟისორი ვლ. ალ.-მესხიშვილი აგარაიდან დაბრუნდა.

ბულე მდივანი, რომელიც მომავალ სეზონშია მოწვეული, უკვე თბილისს ჩამოვიდა.

დრამატულ კურსების მთავარი ხელმძღვანელობდა ვლ. ალ.-მესხიშვილის მიენდობა.

რეჟისორთა საბჭოში იქმნებიან ვლ. ალ.-მესხიშვილი, ვლ. გუნია, ვალ. შალიკაშვილი და ზემიერთი ქართველი მწერალნი.

რ უ ს მ თ ი

ბეჭდვითი საქმის მთავარმა გამგეობამ აკრძალა მიშკინის პიესა „ტარნოვსკის საქმე“

ცნობილი დრამატურგმა ს. ა. ნაიდენოვმა დასწერა ახალი 4 მოქ-ნი კომ. „საღვთა საკუთრება“ და სიბეა. თეატ. ღირებურობა ეკლუტ.

პეტერბურგის ქალაქის უფროსს ერთმა მსახიობმა წერილობით განუცხადა: 1898 წლიდან ანტრეპრენიორისგან შთაგონებული ვარ და აქამომდე თავი ვერ დამიწყებიაო. გავლდა აქეს არამც თუ ჩემს ნება-სურვილზე, არამედ ჩემს ხმასა, მხედველობასა და ავტობულებანუო. რადენჯერც მსურდა საჩივარი, მაგრამ 2—3 სიტყვის გადახმა-კი ვერ მოვახერხეო.

როგორ დასწერა ეს საჩივარი, მსახიობი ამას-კი აღარ გვისინს.

თავი მოიწამლა ნიჭიერმა მსახიობმა ქალმა ა. ნ. ვეკოვ-მაიკოვმა, რომანიულ ნიადაგზე.

განცვენებული ა. ზ. ბურაკოვსკი ნაცნობთ ეუბნებოდა ხოლმე: ბებუდითი სიტყვა ყოველთვის თანაგრძობით მეპყრობოდა და ძლიერ დეველებულიცა ვარ მისგანო... სიბერის ქამსაც-კი გამოვიცა სასახური; ცოლი განცხადების საშუალებით შევირთეო.

გარდაიცვალენ გამოჩენილი მსახიობი მ. პ. საღვთა კი და ცნობილი დრამატურგი ვ. პ. ტუ-ნოშენსკი.

ანდრეევმა თავისი მოთხრობა „იუდა“ პიესად გადაკეთა ფრანგულად. პიესას პარიზის ერთერთ თეატრში წარმოადგენენ.

შ ც ხ რ ე თ ი

რომში იბნენის ნადგომ სახლზე დიდის ამბით მიაკრეს ფიკარი შესანების წარწერითა და დრამატურგის სურათით. ძლიერ განძობიერი სიტყვა წარმოსთქვა სოციალისტმა-დებუტატმა ფერომ.

გამოჩენილი მუსიკოსმა რაულ გინსბურგმა დასწერა ოპერა „ი ვ ა ნ ე მ ო რ ს ნ ა ნ ე“, განსაკუთრებით თ. ა. შლიაპინისთვის, რომლის მოწარმელობითაც წარმოდგენილ იქმნება მონტე-კარლოში.

ფულით სახელის გაკეთებას, რეკლამის შექმნას დიდი ვასავალი ჰქონია პარიზში. ბალერინა ფედოროვ-მეორე მოგვითხრობს: საფრანგეთში პრესით გამარჯვება ფულზე დამოკიდებულია. ფულით ათავსებენ ქება-დიდებას, სურათებს და სხ. პარიზში ყოფნის დროს მოვიდა ვილდ ვეპატონი და შემოთავაზა — „თქვენს სურათს უფრ. Femina-ს პირველ გვერდზე მოვათავებთ და ეს მხოლოდ... 1000 ფრანკი ეღირებაო. თუ იაფად გსურთ—შვიგნითა გვერდზე 500 ფრ. დავებუდეთო“. თუმცა პარიზის საზოგადოებამ ძალიან კარგად იცის პრესის ასეთი „საქმიანობა“, მაინც უჯერებს და ბებუდითი სიტყვის დიდი ვასავალი აქვს. ჩვენი ხალხი-კი, უცხოეთის სათვართო უფრანგებს რო ხელდას, უყვირს: აი, რა კარგად ბებუდეთო. ჰაი, ჰაი რომ კარგად დაბებუდეთ, ერთი სურათის დაბებუდეთი თუ კი ათასობით მიიღებენ!

ფანაზის ნახატი, კიევის აკლებ-აწიოკების სურათი, ჯერ კიდევ დიდს მიტქმა-მოტქმას იწვევს გერმანიაში. ნახატი გამოჩენილი იყო მიუნხენის გამოფენაზე, მაგრამ რუსეთის მისიის მოთხოვნისაგან მოა-

შორეს. შემდეგ სურათი ფრანკფურტის ერთ-ერთის სალონში გამოფინეს, მაგრამ ახლა ხან პოლიციის უფროსი ეწვია „სალონის“ პატრონს და მოსთხოვა—სურათი ჩამოხსენიო. სალონის პატრონი დიღს უარზეუ.

ღაბა-სოფლები

დ. ხონი. 31 იულ. სტენის მოყვარეთა ჯგუფმა ნ. ჯავახიშვილის, თ. გოვალაშვილის, ვ. შალიკაშვილის და ნ. გვარამის მონაწილეობით წარმოადგინა „ფული და ხარისხი“, შემოკლებით. წარმოდგენამ სავსებით სუსტად ჩაიარა. თითქმის ვეუღლას ექნებოდა როლის უცოდინარობა, ზოგერთეუბის თამაში მიმავს იყო მოკლებული, ზოგერთეუბს შეუფერებელი კილო ჰქონდა, შკგ. სომხის რთლებების მოთამაშეთა ჩვეულებრივ დაზარაქის დროს სომხურად დაზარაქობდენ, ხოლო ხმა მადლა—ქართული კილოთი. აგრედვე შ. ხონელმა ვერ გუდმოგვცა ლეგს დამხამის რთლი მილიანად: სიმუხედის დროს სითეარდე ექნებოდა. გულმოსულობა—ხეშუბი-კი სიფხიზლე. მეტისმეტად სუსტობდა ნ. იულიტაშვილი დავით დამხამის რთლი: იგი მოკლებული იყო ვეუღლას იმ დირსებას; რაც სტენსეუ მოთამაშეს მთეიხობა —როლის ცოდნა, მიმავა, დიქტა. კარგი იყო ნ. ჯავახიშვილი სოფთო შარბათივის რთლში, თუშეც კილდა დაზარაქის ებრაელს უფრო უკაულა.

ტუზეი

პატარა ჯიხიაში (იმერეთი). ადგალბორივ სტენის მოყვარეთა მიერ ქუთ. დრ. დასის მსახიობთა ყდაბეგაშვილის და ჩიკვანის მონაწილეობით წარმოდგენილ იქმნა „და ძმა“, სავითხეულოს სსსარკებლთი. ბლამს ხლხი დაქსწრო. **ივერიელი** ს. ქვიტირი (იმერეთი) ამ მოკლე ხანში დახირის სსსარკებლის სავითხეულოს სსსარკებლთ ქუთ. მსახიობთა ყდაბეგაშვილის და ჩიკვანის მონაწილეობით წარმოდგენილ იქმნება „არსენა“ და ერთად ვოდველი

მ—ლი

ს. შილდა. ამის წინად ადგალბორივ სტენის მოყვარეთა-მიერ ბ. ახსანიარელის მონაწილეობით წარმოდგენილ იქმნა ტრ. რამიშვილის „მეზობლეთი“ და გ. უიფანის „დატრიალია ჯარა“. ხლხი ბლამად დაქსწრო, სხვა სოფლებიდანც-კი.

ი—ელი

ს. ხაში. დღეს, 8 აგვისტოს, ადგალბორივ სტენის მოყვარეთაგან წარმოდგენილი იქმნება ივ. გომართლის „ქოსში“ და ვ. გ. ადღის ერთა“. ანტრატქუში გერმანულ მუსიკათა გუნდი. **შ—ე** კისლოვოდსკი. 28 იულ. გაიარათა სკველმქმელა სდაშმი. დიდდადი ხლხი დაქსწრო. სდაშმი მხიარულად ჩაიარა.

ხონი. კვირას 1 აგვ., გვარძის საბუნებისათვის წარმადგინეს „პირველი მერცხალი“ დრ. 4 მოქმედებასა, თარ. ვ. შალვაშვილისა. პიესა თანამედროვეა, რუსეთის გლეხთა ზღაპრის ცხოვრებად აღებული. მობუნებისეუ ითამაშა ტინინის როლი, და კარგათვ შუასრულა. ქ. ჯავახიშვილმა — უღიანა ფომინისის როლი და ზეღმიწეებისა და კვირაცა, ნამდვილი ტინი იყო რუსის დედაცისა. სუსტობდა ქ. თ. გოგლაშვილი ელენის როლი. ბ. შალვაშვილმა თავისუფლად და სუენსოვად შესრულა ლუკინ-ნიკიტა რომანიის როლი, კარგი იყო აგრეთვე ბუღუ მდივანი თეოდოსიას როლი. კანსკუთებით მეთხე მიქეილესა. არა უშავდა ბ. შ. ხინელს ანდრეის როლი, მეტის-მეტი ზრანკვატრეზა რომ არ დაქუო. ხელს უწეობდენ ქ. ქ. შ. დოდობერიძე და ლ. დოდობერიძე. საერთოდ პიესამ კარგად ჩაირა. ხალხი ბლამით დაესწრო, მობუნებისე თავსებით დაჯავდობეს.

ა. პლებიშვილი

დ. სურამი. 24 და 25 ივლ. თბილ. სხ.

თეატრის მუსიკალურ განყოფილების სასარგებლოდ თ. დოდობის თანხმობით გამართა წინადადით სახალხო სიერობა, მორე დღეს დღით საბავშვო დღესასწაული, ხოლო საღამოთი კონცერტი. ხალხი სავსებად დაესწრო. კაი შთაბეჭდილება მოახდინეს საზოგადოებაზე ქ. ზავთეატრისა. ბ. ბროჟი და კორენაშ. — სურამელები მინც ვერ მიეჩვიენ თეატრში წესიერების დცვას. **სუ — ლი**

ბახმარი (ოზურგეთის მაზრა). 18 ივლისს სტენის მოყვარეთ წარმოდგინეს აღ. თუთაყვის „ბედმა მიაღატა“, და ნამდვილად ჩვენს სტენას ბედმა უღალატა, რომ — უკაცრულია ზსუხია — სკითხ სტენის მოყვარეთა სჯიფტხავა ცხნდა, როგორც 18 ივლისს ვახუთ. საკარგოდ ამისულ ინტელიგენციას სირცხვილად ის წარმოდგენაც ეყოფა: ხუ თუ ახლა მინც არ გამობერტეს ურუნეს ეს „ინტელიგენცია“, რომ გულგრილად არ უნდა შეუერთდეს ხალხის გონებებზე განათობის გამართვის! **ნა — კლი**

ნ. მეჯვრისხევი. 11 ივლ. ადგილობრივმა სტენის მოყვარებმა ზ. მახაბლის მოხწილებით წარმოდგინეს ს. ცეკარდის „ტიმბირელი.“ წარმოდგენის დაქუებად ჩვენმა თანამომრამულმა ქანმა **ცკვიტმა** დამსწრეთ აუსხს თეატრის მნიშვნელობა და პიესის შინაარსი. წარმოდგენამ რიგისად ჩაირა, დიდძალი ხალხი დაესწრო, გლეხცობა უფასოდ შეუშვეს. წარმოდგენის გამართვით აზრათ აქვთ შემოსავლით სემუდამ სტენა მოაწიენ.

მ — ხელი

ყრუ სოფელი

სტენები 3 სურათად, გლეხთა ცხოვრებიან.

VI

იგინიე და **ნიკო**, მის მოყუება **ნუცა**
ნიკო. (გაგა სხლდის მორე თვალში, ზირსხლდის გამოიტანს და ზირს იმშრალეს. ნუცა დათიკოსთან მივა და დაჯდება) უპ, გამოვცოცხლდი კაცი... (გოღას) ხარები ხომ კარგად დაბი, კოლა? არ აეშენენ, თორემ რამეს გააობრებენ.

კოლა. მაგრათ დავაბი, მამა, — ვერ აეშებიან.

ნიკო. (გათავებს ზირის მშრალეს და ზირსხლდის ნუცას აძლევს) აბა, ნუცა, შეინახე...

ნუცა. (ზირსხლდის გაიტანს, შემობრუნდება და ისევ დათიკოსს მოუჯდება გვერდით)

მაიკო. ხომ არა სქამ ჯერ? წვენი გამთბარი იქნება, მოგშვიდებოდა კიდევ; დღეს ხომ ცივი მქადის მეტი არა წავილია ყანაში.

ნიკო. (ბავშვებს მოუჯდება ხლდის; დათიკოსს აიყუხს და მუხლებზე დაისვამს) შიმშილით კი მშია, მაგრამ ჯერ აღრეა. პატარას დავისვენებ, პეტრეს ხარს გადაუყუყვან და მერე ეკამ.

მაიკო. ხარის წაყუყვანა შენ სად შევიძლია, — კოლა წაუყუყვანს.

კოლა. შე გდაუყუყვან, მამა.

ნიკო. შენ კი არა, ხუ შენდა წაუყუყვანო და ზეგისთვისც ვთხოვო, შეგვეგეწები — უარს არ მეტყვის; თუ მინცა და მინც უარი მითხრა, ერთი ორი დღით მიხმარებას დავბირლები.

მაიკო. (შეწუხებული) დალილი რომ ხარ...

ნიკო. აბა, რა ექნა! კიდევ ერთი ნაქვირი მიწა თუ არ მოვხანი დროზე, რა მეშველება... მერე იქნება დემრთმა წვიმა გვალისოს. ყველას თავისი სახნავი ექნება და ხარს მე ვილა მათხოვებს.

დათიკო. (ნიკოს უღვაშებზე ეპოტინება) მამა, შენ ლაზე გაქ ასე მოკლე უღვაშები? აქ კაცი იყო გუშინ, იმას დიდი ქონდა.

ნიკო. (აჯავრებს) ლაზე და იმაზე.

VII

იგინიე და **ივანე** შუა კრით
ივანე. გამარჯვება თქვენი.

ნიკო. (წამოდგება) დემრთმა გაგმარჯოს!

მაიკო. (აძგებს) დემრთმა გაცოცხლოს, ბატონო! (სკამს მარათმებს) დაბრძანდი, ბატონო!

ივანე. მგონია დღეს სახნავში იყავი, ნიკო. როგორი სახნავი იყო?

ნიკო. როგორი და საძაგელი. მეც მოვკვდი და ხარებიც დავხოცე. რა ვქნა, ცალი ხარის ამბარა რომ ვარ, თორემ ამისთანა ამინდში სწორედ არ იხვნება...

ივანე. ნიკო, შენ დღეს ღამის საყარაულოში ხომ არ ხარ გაწვეული?

ნიკო. დღეს არა და მომავალ კვირაში-კი...

ივანე. ღმერთმა დააქციოს ჩვენი მამასახლისის ოჯახი,—საქმე გაგვიჭირა: საყარაულო ქობები რომ მოგვადობინა, ი ქურდები ისე სულელები როგორ იქნებიან, რომ მაინც-დამინც იქ გამოიარონ?!

ნიკო. თუნდაც გამოიარონ,—მერე რა?!. ორი და სამი კაცი რას დააკლებს, ისიც ჩვენისთანა იარაღით! მოგცემენ ჟანგირს თოფსა და—ჩემი კოლა კითხულობდა წიგნში, იმისი არ იყოს—ცეცხლი რომ დაადო—მაინც არ გავარდება. ქურდებს-კი ბერძანის თოფები არ აკლიათ, რვეოლფერი და ხანჯლები.

ივანე. ტყუილად გვაწვალებენ...

მაიკო. აი, ღმერთმა დაშამათოს მათი თავი და ტანა.

ივანე. კანონის მოთხოვნილება არისო. დილას „პოპოშნიკი“ მომადგა და ერთი ვერსიდან მიყვიროდა: „თუ ამაღამ საყარაულოდ არ გამოხვედი შენ, ან შენი შვილი, დაგაჯარიმებო,“ მეტი რა ღონეა, უნდა წავიდე...—ჩემი შვილი დღეს ტყეში იყო და დაღლილი კაცი როგორ-გაეუშვა,—ისევ მე უნდა წავიდე, ნაწ წლის კაცი.

ნიკო. რაა მერე, ჩემო ივანე? რას დააკლებ იმ წყეთლ ქურდებს?!

ივანე. რომ ვერას დავაკლებ, მეც კარგად ვიცი, მაგრამ კანონის მოთხოვნილებას ხომ შევასრულებ, და სხვას არას დავეძებ...

ნიკო. ეხ, ვითომც ჩვენი სიცოცხლეც სიცოცხლეა! როგორ უნდა გაუძლოს კაცმა?!. აი, ესაო, აი ისაო, —ყველაფერი გლვხ კაცს აწვევს ვალად: გზა არის გასაკეთებელი, ჩვენ უნდა გავაკეთოთ, საყარაულოა—ჩვენ უნდა ვიყარაულოთ და ვინ ჩამოსთვლის! სხვა კიდევ არაფერია, მაგრამ ამ გზაზე ხომ მარტო ჩვენ—გლეხები—არ დავიარებთ?! აზნაურიშვილები ჩვენზე ნაკლებათ დაიარებიან და სარგებლობენ ამ გზით?! ქურდები თუ ჩვენ გვაწუხებენ, აზნაურიშვილებს-კი არ აწუხებენ? ჰოდა, აბა, ერთხელ მაინც

თუ გინახავს აზნაურიშვილი ან გზაზე სამუშაოდ, ინ საყარაულოში?

ივანე. აზნაური რის აზნაურია, ნიკო, თუ გზაზე სამუშაოდ გამოივა?!

ნიკო. ვითომ რატომია?!

ივანე. თავიდანვე ასეა დაწესებული კანონით, ჩემო ნიკო, და ახლა რა უნდა ვქნათ.

ნიკო. არა, ეგ სწორედ დიდი უკანონობაა...

ივანე. უკანონობა თუ არა, ასე კია და.

ნიკო. არ მესმის, გამჩენს ვფიცავ, მარტო ჩვენ, გლეხები, რაზე ვართ დაჯაბნილი!.. აზნაური ჩვენ გვიბრიყვებს, მამასახლისი და მისი ნაცვლი. ხმას ამოიღებ და მათარახი შენთვის არის მზად,—როგორ გაბედე კრინტის დაძვრა, ეგ კანონის მოთხოვნილება არისო... თუ მართლა ამისთანაა ეს კანონები, მაშინ ყველა კანონები ჩვენს წინააღმდეგ ყოფილა მომართული. შეძლებული გლეხები რომ არიან,—აი, ჩვენი მეზობლები,—იმათ მაინც რატომ არ იწვევენ ამ გზაზე სამუშაოდ და საყარაულოში, თუ ესეც კანონის მოთხოვნილებაა?!

ივანე ეჰ, ყველაფერი ღვთის ნებაა, ჩემო ნიკო, ღვთის ნება! ასე გაუჩენია ღმერთს, ასე დაუწერია გლეხი კაცისათვის და ალბათ აგრევე იქნება.

ნიკო. ღმერთი აქ არაფერ შუაშია, ივანე. დიმიტრა—მამასახლისი ღმერთს როდი ეკითხება: რაც მოუხდება და მოესურვება, ის არის მისი კანონი.

ივანე. ეჰ, ვერას გაიგებ, კაცი... (წამო-დგება) შენ ხომ მაინც არ იცი, ნიკო, დღეს ვისი ჯვრია ყარაულობა.

ნიკო. რა გითხრა,—სწორედ არ ვიცი.

სონა. გოგია უნდა იყოს. წყლან ვიყავი იმათსა და ლაპარაკობდა, ამაღამ საყარაულოთ უნდა წავიდეო.

ივანე. გოგია, ჩვენი დათიასი?

სონა. დიახ, დათიას გოგია.

ივანე. ღმერთმა გიშველა, რომ გამაგებე... საცაა დაბნელებდა კიდევ; წავალ და მოვეშხადები. მშვიდობით...

ნიკო. (ადგება და კარქამდე ატელებს) მშვიდობით! (ივანე გადის)

მაიკო. რა ეყარაულება ამ საწყალს მოხუცებულს, ფეხებს ძლივს დაათრევს...

ნიკო. რა და, დიმიტრის კანონი.

მაიკო. აი, კანონი და შავი ქვა მის თავსა და ტანს. (შეუსხ)

ნიკო. მართლა, კოლა, დღეს შენი „უჩიტელი“ ვნახე.

კოლა. (ერახმად) სად ნახე?

მაიკო.

ნიკო. ნაკლასებს ქალაში წამოსულიყო სანადიროთ და ჩვენ საყანესთან გამოიარა; რომ დამინახა, მოვიდა ჩემთან და ცოტა ხანს მელაპარაკა...

მაიკო. რაზე?

ნიკო. კოლა პიკო: ნიჭიერი და ბეჯითი ყმაწვილიაო; როგორმე გაიჭირე და ერთი-ორი ანბანი ასწავლეო. მეც დაგეხმარები, სასწავლო გადასახალიდან გაგინთავისუფლებო. (გოდას სახე გაუბრწყინდა) რა ვქნა, არ შემძლია-მეთქი, მაგრამ იმდენი მელაპარაკა, კიდევ ვიფიქრებდი რამეს, რომ ცოტა საშუალება მქონდეს. მთელს სასწავლებელში საუკეთესო მოუწაფეთო. თუ ეცდები და ამ ჩვენი სოფლის სკოლას დაასრულებინებ, მე უფასოთ მოგიმზადებ, საუჩიტლო სემინარიაში დავაჭერინებ ეგზამენს და სახელმწიფო ხარჯზე მივალბინებო. სემინარიას ოთხ წელიწადს გაათავებს და „უჩიტელი“ იქნებაო.

მაიკო ღმერთმა მისცეს სიკეთე და ტანის სიმრთელე კარგი რჩევისათვის, მაგრამ ამდენი სად შეგვიძლია?! კოლა ჯერ მეორე წელიწადია სწავლობს და მანდ ბარე ხუთი წელიწადი უნდა იყოს; კიდევ სამი წელიწადი მოუწდება.

ნიკო. მეც ეგ არ ვუთხარი! ნეტავი წელს არ გამოვიყვანდე ამ წლის სკამის დასრულებამდე და ღმერთს მადლობას შეგიწირავ...

მაიკო. რაც უნდა დაგვემართოს, ეს უნდა გავათავებინოთ.

ნიკო. კაი დაგემართოს, კარგია, მაგრამ სკოლაში მეცადინეობა შუა ივნისამდე გრძელდება; მე ვფიქრობდი, ყანების სათონხანავთ წავიხმარებთო,

კოლა. მამა, სწავლის უკან მოგეხმარები აქ. ეზოს ყანას სულ მარტო მე გავთონნი, ოღონდ ნუ გამომიყვან.

ნიკო. ვნახოთ, შეილო. თუ როგორმე ცოტად მაინც შევიძელ, შენს ცოდვას არ დავიღებ.

მაიკო. იმისთანა დრო დაგვიდგა, რომ უსაველო კაცი ერთ გროშათაც არ ღირს; უსაველო კაცი ყველას ჯაბანია.

ნიკო. ეს მეც-კი ვიცი, მაგრამ შეძლება

რომ არა მაქვს.. (ნუცას) ნუცა, გადი, შევილო, და ხარები ნახე, მორჩენ ჩაღის ქამას, თუ არა. (ნუცა გადის)

კოლა. სემენარიაში თუ შემიყვან, მამა...

მაიკო. ნეტავი შენ სემენარისტობას მომასწრობდეს ღმერთი...

ნუცას ხმა (გარეაქს) სეფე, სეფე... გამიშვი ხელი.

სეფეს ხმა. არ გაგიშვებ.

ნუცას ხმა. ნუ შქმქმეტ!

VIII

ივინიე, სეფე და ნუცა

სეფეს ახალგაზრდა საღებავით აქვს დასწრაფი. ცალ ხელში საღებავი და ჩოთქი უჭირავს.

სეფე. (ნუცა ხელზე აყვანილი შემოაქვს) ახლა გაგიშობ. (ძირს დაუშვებს) გამარჯობათ, მასხინძლებო!

ნიკო. გაგიმარჯოს! (სეფეს შემოსვლას ვეფლანის სისწრაფით ეგუბუბანს) რაა, კაცო, რომ თავიდან ფეხებამდე საღებავში ამოსერილიხარ?

სეფე. (ჩოთქი მოუღერს) თუ გეხარებება, ჩემო ნიკო, შენც შეგიღებავ ახალუხს.

ნიკო. (განსუ გადაიხრება) იქით, კაცო! მართლა არ მომიხვია.

სეფე. ახლა თუ არ გინდა, შეგეხვეწები სწორეთ! შეღებავში მე ფულებს ვიღებ და შენ თუ-კი უფასოთ შეგლებ-შეგალიამახე, რა გაუხებბს?! (კადავს მოუღერს)

ნიკო. იქით-მეთქი, კაცო!.. რა ჰქენი ნუცა, ნახე ხარები?

ნუცა. კი, გაუთავებიათ...

ნიკო. (წამოადგება) აბა, მე ახლა ბარემ ხარს წავიყვან. შენთან უკაცრავად, სეფე, მაგრამ მაინც-და-მაინც არ მოგერიდები, შინაური კაცი ხარ.

სეფე. ბიჭოს, შინაური ვარ, მაშ გარეული ხში არ ვიქნები...

მაიკო. ჯერ ცოტა გეჭამა რამე: წვინცი შეთბებოდა, სეფეც დაგვეწვევა, თუმცა შავის საკადრისი-კი არაფერი გვაქვს, მაგრამ ანდა-ზად ნათქვამია „კაი გულით მორთმეული—პატარაც არ დაიწუნებისო“.

სეფე. ერთი ჰა, მოჰყვენ ბოლიშებს! ჩემთვის ნუ სწუხებდით; მე კარგადა ვარ გამოზუნთული; დღეს მამასახლისის სახლის ღებვას მოვრიხი და ლახთიანადაც შევაყოლიეთ.

ნიკო. მაშ მირჩევნია; ჯერ ხარის მივუყვანო პატრონს.

სეფე. მეც წამოვალ. (აღდგება)

სონა. შენ რა გეჩქარება, სეფე?! დაჯექი ცოტა ხანს.

მაიკო. რა იყო, შე კაი კაცო! ჯერ არც კი შემოსულხარ და ახლვე გაქცევა რა არის? ამ ბოლო დროს მთლად აიკარი ფეხი და აღარ გვეჩქარები.

ნიკო. უკან გამომყევი-მეთქი, არ მიტეხვას, შე კაი კაცო! რა გაჩქარებს? დაჯექი. (კადის)

სეფე. თუ ასე გინდათ ჩემი დაცვა, აჰა, ბატონო! (დაჯდება)

სონა. შინ! ცალი არ გიტირის და შვილი...

სეფე. მეზობლები მე არ მყავს და დამა: ერთად-ერთი ტლუ ბიჭი ვარ.

კოლა. რამდენი წლის იყავი, სეფე, დედამა რომ მოგიკვდა?

სეფე. ბარე თორმეტისა...

კოლა. რა აღრე დაგხოცია!..

სეფე. აღრე?! მე ის მიკვირს, ჩემმა მამა-რებელთ ამდენი როგორ იცოცხლეს...

სონა. (იფანის) რა ცივანი ხარ, სეფე!..

მაიკო. ეს სამი დღეა არ სჩანდი, სეფე, სად იყავი?

სეფე. სად და საცოლოს სანახავთ.

სონა. ისევე ღმერთი გიშველის, მართალს ლაბარაკობდე.

სეფე. (ჩქარა ამოაღვანარაკებს) მამა ნუ მიკვდება. (ვევლანი იფინიან)

სონა. მამაშენი, კარგა ხანია, წაწოლილა.

მაიკო. რა უღროვობაა შენი ცოლის შერთვა; რამდენი წლის იქნები?

სეფე. დღეს შევისრულე 32. ცალი ფეხი გადავდგი კიდევ ოცდა-მეცამეტეში

სონა. დრო კი ყოფილა, შალე თავში თეთრი გამოგერევა და მერე არავინ წამოაკვება, თუ დროით არ შეეცადე...

სეფე. დრო ყოფილა?... როგორ, ქორწილში ქეიფი ხომ არ მოგინდათ?

მაიკო. რატომ: შენ ცალი—ჩვენ ქეიფი!

სეფე. კაი ყოფილა დედოპური და მისი კვრები... მე კირი გადავიკილა თავზე და თქვენ იქეიფოთ, არა? ამან შარისაგან—ცოლ-შვილისაგან.

IX

აგინივე და ფროსიკო

ფროს. (პარქაში უჭარავს) აქა მშვიდობა.

მაიკო. (წამოადგება) მშვიდობა და კარგად ყოფნა ნუ მოგიშლოს ღმერთმა.

სეფე. (სწრაფთა წამოადგება, ახალგაზრდა მისწრაფთა წამოადგება, მიეგება ფროსიკოს და ორივე ხელს ახლავს) ქალბატონ ფროსიკოს სიცოცხლე და კარგად ყოფნა. როგორ მშვიდობით გიკითხვოთ, ქალბატონო?

ფროს. რა არის, ბიჭო, რომ მაინცა-და-მანაც ყველაფერს გადაჭარბებ.

სეფე. ბიჭოვო?! რა დროის ჩემი ბიჭობაა, ჩემო ფროსიკო?! ბიჭი კი არა, შენს მოყვანაზე ცხონებული შენი ქმრის მაყარი მევიყავი; შენზე უმცროსი კი არ გვეონო.

მაიკო. დაბრძანდი, ფროსიკო!

ფროს. (დაჯდება) ბიჭი ხარ, მა რა ხარ? უცოლო კაცს მე ბიჭს ვეძახი.

სეფე. ახირებული ქალი ხარ, ფროსიკო. ბიჭი რათა ვარ?! დროზე რომ ცოლი შემერთო, ახლა თვითონ ბარე სამი ბიჭი მეყოლებოდა. მართალს გელაპარაკები, შენ არ მომიკვდე, და შენს ქვერას არ მომავლს ღმერთმა.

ფროს. რაა, ბიჭო, რომ მასხარად მივლებ ქვრივ ქალსა?

სეფე. ღმერთო, მომკალი და გამათავე!.. ჩემგან აღამიანის მასხარათ ადგება, და ნამეტნავად ქვრივი ქალისა, ვაგვიფათ და გსმენით ვინმეს?! პირიქით,—ქვრივი ქალების მე დიდი პატივისცემელი ვარ. (ეშმაკურის აღმოჩენით გაღაღავს სონას; ვევლანი იფინიან, კარდა ფროსიკოსი)

მაიკო. სეფე, ნუ ხარ ეშმაკი...

სეფე. რას ბრძანებ, ბატონო?!... ეშმაკი კი არა, ნამდვილი ანგელოზი ვარ. ეშმაკმა წაიღოს ეშმაკის სული და ხორცი, მე თუ რამე ეშმაკობა მქონდეს გულში. (საერთო სიცილია; ფროსიკოსსაც გაკვირება)

სონა. ეშმაკის სული და ხორცი-კი ეშმაკმა წაიღოს, მაგრამ შენი?

სეფე. ჩემი სული და ხორცი? ჩემს სულსა და ხორცს ავერ. ჩავბარებ ფროსიკოსს, ჩემს მარგალიტს, ჩემს თვალის სინათლეს...

ფროს. (არ ესამაფრება ეს უკანასკნელი ხუმრობა) დაილუპე იქით, ბიჭო! თავს არ დამანებებ?!
სეფე. სულ დავილუპო, შენ გენაცვალოს სეფე—ბიჭი?!. შენს იქით ვხარ რომ არა მაქვს... შენ შემოგყურებ იმედის თვალთ, შენით ცოცხლობ—შენით ვნუგეშობ.

ფროს. (მთამიხეობიან გამოსული) რა გინ-

და, ბიჭო, ჩემგან, რომ ჩამაცივდი და აღარ მეშვები... არ მომწონს ეგ შენი საუბარი და აღარ მომიკლდები?!

სეფე. ახლა ვითომდა რაო, ცერცვივით რომ ხტინარ?! ლამაზი კი ხარ, მაგრამ მაინც ნაქერივლი ხარ და ჩემზედ უკეთესი ვინ გავიარ-შიყდება?! არ იცი, თორემ როტმილდის შვილი მოვა და ახლავ მოგიტაცებს!

ფროს. ღმერთმა დაგწყველოს და დაგშუბოს, რომ მყრალი და უხიაკი ენის პატრონი ხარ... უსინდისო, გაფუტებულიო.

მაიკო. კაია სეფე! ნამეტანი არაფერი ვარგა.

სეფე. უკაცრავათ, ბატონო! (წამოადგება) მე ვხუმრობდი და, თუ მაგას ეს ეწყინა, გავჩუმდები-კი არა, მთლად მოეშორდები აქაურობას.

ფროს. მეწყერსაც უზიღნა შენი თავი ღტანი.

სეფე. მეწყერს იქითაც, თუ თქვენ გაგეხარდებათ. უკაცრავათ, მშვიდობით ბრძანდებოდეთ... (გადას)

მაიკო. თუ დაიწყო მაგ უბედურმა, რომ არ გადაამეტოს, არ შეიძლება...

სონია. მერე რა არის... ხუმრობა უყვარს და ეს როგორ უნდა გეწყინოს?

ფროს. შენ ხო იცი, შვილო, მეწყინება. მაგის სახუმრო და სასამხარო რათ ვიქნები ამოდენა ქალი?!

მაიკო. (უნდა ფროსიავოს უსიამოვნება გადაეფიქრებ) კარგია, ქალო, ამისთანა გვაღვები რომ დაგვიდგა, საწყალ ჩემს ქმარს დღეს ერთი კვადი მიწა ძლივს ჩამოუხანავს...

ფროს. ღმერთმა მეტი შნა მისცეს... მე ვიკითხო საწყალმა ქვრივმა, უსუსური ობლდების პატრონმა, თორემ თქვენ რა გიქირთ.

მაიკო. გაქირვებით. ჩვენც ძაან გვიქირს, შენი ჰიორივ, მაგრამ ვინ არის გამკითხავი?..

ფროს. (ამაოხრებს) ჩემი სახნავები ხელუხლებლათ ყრია... (წამოადგება) წასვლის დროა, საცაა დაბნელებდა.

მაიკო. რა გეჩქარება, შე ქალო? იჯექი პატარა ხანს. (სონას) სონა, ქრატკი აანთე, შვილო, ხედავ ბნელებდა.

სონა. ახლავე. (მიდის, მიაქვს ჭრატკი და ანთებს)

ფროს. კარგი დაგემართოს, თქვენთან ყოფნა კარგი იყოს, მაგრამ უსუსური ბაღლები მეშვეიან სახლში, მეშინიან, რამე ფათერაკი არ

მოახდინონ... მაიკო, ერთი ბარქაში ფქვილი მასესხე ბავშვებს ვახშამდ მქადი მაინც თუ არ გამოიკუთხე, ამიკლებენ...

მაიკო. კი, ბატონო. სონა, გამოართვი ბარქაში და გაუყვე. (სონა მიდის, კოდაღან ფქვილს იღებს და ბარქაშზე უყრის)

ფროს. ერთი კვირაა დაფქვილი წისკვილში მიგდია და მომტანიწვერაჟინ ვიშოვნე...

მაიკო. ვეთქვა, შე დალოცვილო, და ჩემი კოლა ამოგიტანდა.

კოლა. მე მოგიტან ხელ სწავლის შემდეგ...

ხმა (კარგან) ნიკა, ჰაი, ნიკა!

მაიკო. (შეკრთება) გახედე, კოლა, მგონია ბორჩიკია... თუ ბორჩიკია, უთხარი ცოტა დაგვიცადე— მოვართმევთ-თქო! (ხმა შეკრდება)

კოლა. ბორჩიკი უნდა იყოს! (ეგუღანი შეუჩუქებულად გადასჯდავენ უმამანთოს)

ფროს. ეს დასაღუბავი მეც კარხე მაღვია. არ ვიცი, რა წყალში ჩავარდი! თუ ამ ორ დღეში არ შემოიტანე, ძროხას გაგიყიდიო. მუქარა რომ შემისრულონ მაგ წყულებმა, მერე რაღა ეშველება ჩემს ობლებს, — იმ ძროხით ვუბრუნებ სულს.

მეხარკის ხმა. „ერთი კვირა“ მე არ ვიცი, თუ ახლავ ფული არ მოგიკათა, სახლს დაგიბრებთ. ასე მაქვს ნაბრძანები მამასახლისისგან... „აი დღეს, აი ხელო“ — მატყუილებთ... ასჯერ კი მომიყვანეთ აქ.

მაიკო. (შეშინებული იხედავს აქეთ-იქით) სწორედ დამარბევენ ეს შეჩვენებულები...

სონა. (ფროსიავოს ფქვილით სავსე ბარქაშს აძლევს) რა ექნათ ახლა. დავიღუბეთ... მამაჩემი მაინც იყვებს სახლში. (სუჯა და გიორგი ვაგუბულა-შეშინებული შეჭკურებენ ხან ერთს ხან მეორეს)

ფროს. ღმერთი არა სწამს ამ ხალხს?! მალ-მალეო, რომ იძახიან, დახარჩობა ხომ არ არის!

მეხარკის ხმა. „შინ არ არის“ მე არ ვიცი. გამომეცი, სტრაჟნიკო, სულ დავარბევ, თუ კი რამე მოიპოვება სახლში.

მაიკო. რა ექნა... დავიღუბე, შვერცხვი!..

მეხარკის ხმა. (თან და თან ახლავდება) მე გაჩვენებთ, როგორ უნდა კაცის მოტყუება და წიალება... აბა, მიყურეთ!

(შემდეგი ქება)

ივ. ჯავახიძე

რედაქტორ-გამომცემელი იოსებ იმედაშვილი

სსსსსსსს

ყოველდ. საპოლიტიკ სალიტერ. გაზეთი. წლიურად 7 მან. ნახევარი წლით 4 მან. სახლდარგარედ 14 მან. ნახევარი წლით 7 მან. რედაქტ.-გამომც. ზ. ტყემელაშვილი ადრესი: Тифлисъ, тип., «Шрома», Кал. Кон. Цуладзе.

სსსსსსსს

ყოველ-დ. საპოლიტ. სალიტერატ. გამოცემა, კვირეული სურათებიანი დამატებით წლიურად 8 მან. ნახევარ წლით 4 მან 50 კ. რედაქტ.-გამომცემელი დ. სრამელაშვილისა ადრესი: Тифлисъ, Большая Ванкская ул., № 12, Сем. Пашалашвили.

ჯეჯილი საქმანვილო სურათებიანი ყურნ. XXI წ. წლიურად 4 მ. თითო წიგ. 40 კ. რედაქტორ-გამომცემელი ან. თ. წყერეთლისა

სოფელი ხამჩი

(თბილისის მაზრა, სართიკალის ნაწილი) კვირას, 8 მარიაშობისთვის 1910 წელს

ქართული დრამატული დასის მსახიობი იოსებ ზაქ. იმედაშვილი-ხაშაველი

სასცენო ხელოვნ. მოყვარ. დახმარებით გამართავს წარმ.

წარმოდგენილი იქნება

ქოხში

დრამა 5 მოქ. ივ. გომართლისა

დედის ერთა

ვილდელი ერთ მოქ. ვ. გუნიასი

მონაწილეობენ: ქ.ქ. ნახუროშვილი, ნეიმანისა, ბაქრაძე, ჭიბერაშვილისა, ზუკაიშვილი, ხაბაზიშვილი; ბ.ბ. გოგინაშვილი, კელდანი, იმედაშვილი-ხაშაველი, ლლიძე, ქოქრაშვილი, შარაშენიძე და სხვა.

გერმანელ მეგუსიკეთა გუნდი მარიენფელდიდან.

წარმოდგენავს დასწრების მსურველს პაციფიკულ საზოგადოებას ვსთხოვთ ბილეთები ადრევე შეიძინოს წარმოდგენის დროს ხმაურობის თავიდან ასცილუნად.

რეჟის. ი. იმედაშვილი-ხაშაველი | გამეფ ვ. შარაშენიძე

* **ნაკადული** საქმავ. სურათ. ქურნალი წელ. VI

24 წიგ. მყირე წლო — თვის || 12 მოზრ — თვის

4 პრემიით წლ. 5 მან., ნახევარი წლით 3 მან. რედ.

ნაკაშივე გამომცემელი პ. ი. თუმანიშვილი

ქვირას 8 აგვისტოს

ქართულს სამაფხულო თეატრში

გამართება **შვსანიშნავი ფრანგული**

ჭილაობა



ცნობილი მოქიდავის ეიუენის ხელმძღვანელობით. ჩამოსულია 20 მოქიდავე ფალავანი. კვირას იქიდავებენ ხუთი წყვილი ფალავანი. ადგილებს ფასი 30 კ.—2 მან.

შველასათვის ხელმისაწვდომია

ქილაობის დაწყებამდე სინემატოგრაფი უჩვენებს საინტერესო, სამეცნიერო და გასართობ სურათებს.

НОВАЯ РЪЧЬ

Ежедн. общ. полит. литерат. ратурная газета На годъ 7 руб., 1/2 года 4 руб. помѣсячно 75 коп. Тифлисъ, Дворцовая ул. д. Груз. Двор. ред. «Новая рѣчь» Ред. Р. Д. Вебевъ. Издат. П. А. Готуа.

ЗАКАВКАЗЬЕ

Ежедневное издание. За годъ въ Тифлисъ 6 руб. полгода 3 р. 50 к., въ другіе города—8 руб., —4 руб. 50 к. — Тифлисъ Эриванская площадь, д. Гургенова: Ред-изд. Кн. Г. I. Амираджиби.

მდნეულის, ხილეულის და სამკურნალო წყლის

ქ ა რ ხ ა ნ ა

მ. ლალიძის და ამხ-სა

თბილისი, გოლოვინის პარკი. № 6 ტელეფონი № 411.

ჩვენნი ქარხნის წყალი

მზადდება მხოლოდ ბუნებრივ, ქიმიურად დაწმენდილ, ხილის წვნით და საუკეთესო ხილეულის შარბათით გამოხდილის წყლითა და წმინდა შაქრით.

წელი მზადდება გაუმჯობესებულ „ვაკუის“ მანქანებით სპეციალისტის სელექციონერობით

მუშტარი ადვილად დარწმუნდება, რომ ჩვენი ქარხნის

 **წ ყ ა ლ ი** 

მ შ ვ ე ნ ი ა რ ი ს ბ ა მ ო ს ი და ს უ ნ ნ ე ლ ე ბ ი ს ა ა,

და თბილისის სამკურნალო განყოფილების ანალიზითაც

==== მისი კარგი ღირსება დაჯილდოებულია ====

ამატოვს ჯანმრთელობის გულისთვის ეს ქარხანა ურჩევს ბბ. მომხმარებელთ, უურადლებს მიაქციან, რადგან ზოგაერთა ფაქტები ჩვენის სახელათ სსფა ქარხნების უფრო იაფეს და მამკაცესებულ წყლს ასადებენ.

ძოთისოვეთ ეველგან **მ. ლალიძის** და ამხანაგობის **წყალი**

და ამასთან მიამცით **შ შ რ ა დ დ ე ბ ა**

თავსაცობი ჩვენი ქარხნის ბეჭდით

ქარხანა ხილეული წყლით **ფრჩინაუშულ თვისებისათვის** დაჯილდოებულია ოქროს და ვერცხლის დიდი მედლით